



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302033731
თარიღი: 02/12/2020
პინი: 7844

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს ბ ა ტ ო ნ ბ ე ს ი კ ტ ა ბ ი ძ ე ს

ბატონო ბესიკ,

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებულ განმარტებით ბარათს ბიუჯეტში ცვლილების ასახვის მიზნით. ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებრვლის N325 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 07 ოქტომბრის N1950 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 ლარი, რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე 247000 ლარი, აღნიშნული თანხები ბუჯეტში უნდა აისახოს როგორც შემოსავლის ისე ხარჯვის ნაწილში.

მუნიციპალიტეტის მერიის სერვისების დანერგვის მიზნით შექმნილი იქნა მაღალი წარმადობის კომპიუტერი რომლის თანადაფინანსებაზე მუნიციპალიტეტმა უნდა მიმართოს 3917 ლარი არაფინანსური აქტივების მუხლიდან;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა გაიზარდოს 4300 ლარით (ვალუტის კურსის ცვლილების გამო);

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 9500 ლარით;

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია ამბულატორიების ქსელზე მიერთების საფასური გაიზარდოს 800 ლარით;

სადღესასწაულო ღონისძიების მოსაწყობად დაემატოს 10000 ლარი.

გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი გაიზარდოს 7000 ლარით;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 03) გაიზარდოს 40000 ლარით.

აღნიშნული ხარჯის დაფინანსების მიზნით გაიზარდოს 75517 ლარით ჯარიმები და სანქციების შემოსავალი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომოსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს შიდა მონაცვლეობა კერძოდ: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია შემცირდეს 2200 ლარით, სასაფლაოს მოვლა პატრონობა 5300 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა 5000 ლარით და შესაბამისად გაიზარდოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიება 12500 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3190 ლარით.

(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის საქონელი და მომსახურების 3820 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3820 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების წერილის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შრომის ანაზღაურების მუხლის 2928 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 2928 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 52000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი (ელექტრო ქურების შეძენა დამონტაჟებისათვის) 52000 ლარით.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე მიზანშეწოლილია მედიკამენტის დახმარების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 15) 9400 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამით (ორგ.კოდი 06 02 07) 2800 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 08) 5500 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 01) 3520 ლარით, შსმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 16) 1400 ლარით, ბავშვთა ადრეულ;ი განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 17) 9000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 09) 4000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ხანდაზმულ (ასი და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 11) 500 ლარით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 02) 3480 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 12) 12000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 03) 13000 ლარით, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) 6640 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით გამოყოფილი გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსება 1321 ლარით, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის 8932 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გაიზარდოს 10253 ლარით.

განმარტებას თან ერთვის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მოხსენებითი ბარათი.

გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ცვლილებების გათვალისწინებით. საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ე ა რ თ ვ ე ლ ო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
 სოციალური და ჯანდაცვის სამსახური



წერილის ნომერი: 02-302033650
 თარიღი: 01/12/2020

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის

მოხსენებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით და 2020 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“. ზემოაღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, 18 წლამდე ასაკის ყოველთვიური ფინანსური დახმარებას თითოეულ ბავშვზე 35 ლარის ოდენობით, ოჯახი არ უნდა იყოს სოციალური შეძლების მიმღები. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36 000 (ოცდათექვსმეტიათასი) ლარით. წლის დასაწყისიდან პროგრამით სარგებლობდა 23 მრავალშვილიანი ოჯახი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მსურველთა რაოდენობა გაიზარდა და განისაზღვრა 27 ბენეფიციარით. დღეის მდგომარეობით პროგრამიდან გახარჯულია 36000(ოცდათექვსმეტიათასი) ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა დაახლოებით 3480 (სამიათასოთხასოთხმოცი) ლარის დამატება. 2020 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 55100 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამიდან გახარჯულია 45400 ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა 3500 ლარი. პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარი. 2020 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 38800 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამიდან გახარჯულია 32544 (ოცდაორმეტიათას ხუთასორმოცდაოთხი) ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა დაახლოებით 2736 (ორიათასშვიდასოცდათექვსმეტი) ლარი. პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 3520 (სამიათასხუთასოცი) ლარი. ასევე სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 67000 (სამოცდაშვიდიათასი) ლარით. დღეის მდგომარეობით

პროგრამიდან გახარჯულია 60100 (სამოციათასი) ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა 5900 (ხუთიათასცხრაასი) ლარი, პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 4000 (ოთხიათასი) ლარი. ასევე სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „შშპ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 19800 (ცხრაათასრვაასი) ლარით. დღეის მდგომარეობით პროგრამიდან გახარჯულია 8400 (რვაათასოთხასი) ლარი. გამოთავისუფლებული რჩება 1400 (ათასოთხასი) ლარი. ასევე „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.“ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12200 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. პროგრამიდან გახარჯულია 10750 (ათიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა დაახლოებით 1750 (ათასშვიდასორმოცდაათი) ლარი. პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 2800 (ორიათასრვაასი) ლარი. ასევე „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის“ ბიუჯეტი განისაზღვრა 25 000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარების დახმარება წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. პროგრამით ისარგებლა 78 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 12212 (თორმეტიათასორას თორმეტი) ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულება აღებულია 2323.30(ორიათასსამასოცდასამი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარზე. პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 9400(ცხრაათას ოთხასი) ლარი. „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშპ ბავშვების და მათი თანმშლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის“ ბიუჯეტი განისაზღვრა 15 000(თხუთმეტიათასი) ლარით. პროგრამიდან გახარჯულია 3800(სამიათასრვაასი) ლარი. წლის ბოლომდე საჭიროა დაახლოებით 2200(ორიათასორასი) ლარი. პროგრამაში გამოთავისუფლებული რჩება 9000(ცხრაათასი) ლარი. ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50 000(ორმოცდაათიათასი) ლარით პროგრამიდან გახარჯულია 49900(ორმოცდაცხრაათასცხრაასი) ლარი. ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამ ბენეფიციარს დაეწვა საცხოვრებელი სახლი რომლებიც საჭიროებენ გადაუდებლად დახმარებას. ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მოქალაქეების მომართვიანობა - საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად გაზრდილია, რაც ასევე გასათვალისწინებელია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა პროგრამაში დაახლოებით 12000(თორმეტიათასი) ლარის დამატება. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“-პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36000(ოცდაათექვსმეტიათასი) ლარით. დღეის მდგომარეობით პროგრამიდან გახარჯულია 36000 ლარი. წლის დასაწყისიდან ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენდა 23-ს(ოცდასამი), ხოლო წლის ბოლომდე ბენეფიციარების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 27(ოცდაშვიდი). წლის ბოლომდე საჭიროა პროგრამაში 3480(სამიათასოთხასოთხმოცი) ლარის დამატება.

გთხოვთ, „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 15) 9400(ცხრაათასოთხასი) ლარით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 07) 2800(ორიათასრვაასი) ლარით, „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 08) 5500 (ხუთიათასხუთასი) ლარით, „ბიკარბონატული კვამოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების

პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 3520 (სამიათასხუთასოცი) ლარით, „შპს პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 1400 (ათასოთხასი) ლარით, „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლედ შპს ბავშვების და მათი თანმშლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 17) 9000 (ცხრაათასი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 09) 4000 (ოთხიათასი) ლარით შემცირების ხარჯზე 500 ლარით გაიზარდოს „ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის)პირთა დახმარების პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 11). 3480 (სამიათასოთხასოთხმოცი) ლარით „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 02). 12 000 (თორმეტიათასი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 12) 13000 (ცამეტიათასი) ლარით „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 03); 6640 (ექვსიათასექვსასორმოცი) ლარით გაიზარდოს „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 14) კერძოდ 500 (ხუთასი) ლარი მიიმართოს „ღანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების და მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებს რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 001-ს საშემე მერქნის შესაძენად ფინანსური დახმარების ქვეპროგრამაზე“ და 6140 (ექვსიათასასორმოცი) ლარი მიიმართოს „სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“.

2020 წლის ბიუჯეტით და 2020 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულია „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92000 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. დღეის მდგომარეობით დახმარება გაეწია 408 ბენეფიციარს, პროგრამიდან გახარჯულია 84140 ლარი (ოთხმოცდაოთხიათასასოთხმოცი) ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულება აღებულია 49204,95 ორმოცდაცხრაათასორასოთხი ლარზე და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრზე) ლარზე. სამკურნალო- საოპერაციო ხარჯებით დახმარებაზე ბენეფიციართა მომართვიანობის სიმრავლის გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტია, გთხოვთ 2020 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 03); ბიუჯეტი გაზარდოთ 40000 (ორმოციათასი) ლარით რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. გთხოვთ „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის“ დასაფინანსებლად საჭირო თანხები განსაზღვროთ 145 000 (ასორმოცდახუთიათასი) ლარით.

პატივისცემით,

თამარ ფირცხალაიშვილი

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური-სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2020 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 27.12.2019, სარ. კოდი:190020020.35.112.016336) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2020-2024 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2020 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).